კონსტრუქციული დასკვნა

ქ.თბილისში, საირმის ქ.N 40-42-ში თანამესაკუთრეთა სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.028.082) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

დამკვეთი ამხანაგობა ,,საირმე პირველი“

თბილისი-2017 წ.

კონსტრუქციული დასკვნა ქ.თბილისში, საირმის ქ.N 40-42-ში თანამესაკუთრეთა სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.028.082) მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით

ინჟინერ-კონსტრუქტორ თამაზ ბულისკირიასა და ამხააგობა ,,საირმე პირველი"-ს თავმჯდომარე მოქ. თამაზ ხუნდაძის (დამკვეთი) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თამაზ ბულისკირიას დაევალა შეესწავლა ამხანაგობა „საირმე პირველი"-ს საკუთრებაში მყოფი დროებით შეჩერებული მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გაგრძელების შესახებ, კერძოდ: შესწავლილ იქნას დროებით მშენებლობაშეჩერებული (7-8 წელი) მშენებლობის გაგრძელების შესაძლებლობა მისი მდგრადობის და საიმედოობის შენარჩუნებით.

შენობის მოკლე დახასიათება

ზემოხსენებული სახლის მშენებლობა შესრულებულია შპს „პირამიდა"-ს მიერ შესრულებული პროექტის მიხედვით. პროექტის მიხედვით შენობა 8 სართულიანია სარდაფის ორი სართულით და მანსარდით. შენობის ზომებია გეგმაში 18.8 მX15.2 მ. სარდაფის სართულების სიმაღლეა -2.5მ., ხოლო ტიპიური სართულების- 3.3 მ. დღეისთვის აშენებულია 7 სართული, შეჩერებულია მე-8 სართულის მშენებლობა.

-შენობის კარკასი დაფუძნებულია რ/ბ მონოლითურ წერტილოვან საძირკვლებზე.

- სარდაფის კედლებად მიღებულია – რკინაბეტონის მონოლითური კედლები ზომით განიკვეთში 40სმ;

- შენობის სვეტებად მიღებულია – რკინაბეტონის მონოლითური სვეტები ზომით განიკვეთში 40X60 სმ.

- შენობის რიგელებად მიღებულია – რკინაბეტონის მონოლითური კოჭები ზომით განიკვეთში 40X50 სმ;

- სართულშუა გადახურვები შესრულებულია მონოლ. რკინაბეტონში –სისქით 18 სმ.
- კიბეები შესრულებულია მონოლ. რკინაბეტონში – სისქით 18 სმ.

--ძირითადი კარკასის კედლები შევსებულია წვრილი სამშენებლო ბლოკით 40სმ.
შენობის ვიზუალური დათვალიერების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი კონსტრუქციული ელემენტები იმყოფება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, არ აღენიშნება რაიმე სახის დაზიანებები და დეფორმაციები.

დამკვეთის სურვილია შესწავლილ იქნას დაუსრულებელი მე-8 სართულის კონსტრუქციული ელემენტების, კერძოდ სვეტების და კიბის უჯრედის ყალიბების და არმირების ტექნიკური მდგომარეობა შემდგომი გამოყენების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა დაუსრულებელი მე-8 სართულის კონსტრუქციული ელემენტების, კერძოდ სვეტების და კიბის უჯრედის ყალიბების და არმირების ტექნიკური მდგომარეობა.

ყალიბის ფილები ხანგრძლივი ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების შედეგად საგრძნობლად დაზიანებულია და საჭიროებს შეცვლას. სვეტების და კიბის უჯრედის მუშა არმატურები კოროზირებულია (საშუალო ხარისხით), არ არის არმატურის ზედაპირი ამოჭმული და ძლიერ დაზიანებული, დაწყებულია აქტიური ჟანგვითი პროცესი.

დასკვნითი ნაწილი: საირმის ქ.N 40-42-ში თანამესაკუთრეთა სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.028.082) მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ხის პანელოვანი ტიპის ყალიბები, რომლებიც დეფორმირებულია და სიმტკიცეც არ გააჩნია უნდა დაიშალოს და შეიცვალოს.
2. არსებული სვეტების არმატურის კარკასები უნდა მოიხსნას და რკინის ჯაგრისით მუშა ღეროები და საკიდები გაიწმინდოს ჟანგისგან და მტვრისგან; სვეტების ამონაშვერები და კიბის უჯრედის მუშა არმატურები ასევე რკინის ჯაგრისით გაიწმინდოს ჟანგისგან და მტვრისგან;

   ალტერნატივის სახით შეიძლება გამოყენებული იქნას მაღაზიათა ქსელში არსებული ქიმიური ხსნარი-კოროზიისგან გამწმენდი საშუალება.

3. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების შემდეგ, შესაძლებელია შესრულდეს სამონტაჟო და ბეტონირების სამუშაოები, რაც დადასტურებული უნდა იყოს დამკვეთის და მენარდის ხელმოწერით ფარული სამუშაოს აქტზე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი /თ. ბულისკირია/
პირადი №01009011427
მობ.ტელ. 593-925-740

06. 01. 2017 წ.